

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 1

ქ.თბილისი

2018 წლის 8 თებერვალი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 8 თებერვალს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლაშა თავართქილაძე, სულხან სულხანიშვილი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის და თანამსაჯის, ს. ჩიხლაძისა და ი. მუჟაგანაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე ვიდეომასალა. ამა წლის 3 თებერვალს, „დიდი 10“-ის მატჩზე, რუსთავის „ხარები“-სა და მარნეულის „არმაზი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე გურამ ქანდაურიშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე ოთარ მინაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე გ. ქანდაურიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე ო. მინაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/